საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

17/07/2024

MIA 6 24 02168585

შპს "მეგარონ"-ის დირექტორის ელენა ტალანოვას
მინდობილი პირს ირაკლი ზამბახიძეს
მობ: +995 595 41 00 61
ელ.ფოსტა: zambakhidzee@gmail.com

ბატონო ირაკლი,

თქვენი, მიმდინარე წლის 17 ივლისის N 2166530 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ "სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილების მე-6 მუხლის (სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები დასახლებებისა და ობიექტების ტერიტორიებისათვის) პირველი პუნქტის მოთხოვნების/შესაბამისად "გასასვლელები და მისასვლელები უნდა უზრუნველყოფდეს სახანძრო ტექნიკის შენობა-ნაგებობებთან შეუფერხებლად მისვლის შესაძლებლობას წელიწადის ნებისმიერ დროს". ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შენობა-ნაგებობებთან მისასვლელ გზებზე და გასასვლელებში შლაგბაუმების, ჭიშკრების, ბარიერების და ბლოკირების სხვა სისტემების/საშუალებების, მოწყობა, არ უნდა ზღუდავდეს შენობა-ნაგებობებთან შეუფერხებლად მისვლის შესაძლებლობას.

წარმოდგენილი წერილისა და თანდართული მასალების განხილვის შედეგად გაირკვა, რომ იგეგმება ქ. თბილისი, რაფაელ აგლაძის N15-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.13.05.011.025) ობიექტის წითელ ხაზებში შემავალ ტერიტორიაზე შლაგბაუმის მოწყობა, რომელზეც თქვენი მხრიდან უზრუნველყოფილ იქნება 24-სააათიან რეჟიმში მუდმივი მეთვალყურეობა მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ით და დაცული იქნება წარმოდგენილი სქემატური ნახაზით გათვალისწინებული სავალი გზის პარამეტრები, რაც იძლევა შესაძლებლობას 24-სააათიან რეჟიმში უზრუნველყოფილი იქნას სახანძრო ტექნიკის შენობა-ნაგებობებთან შეუფერხებლად მისვლის შესაძლებლობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, იმ პირობებში, როდესაც არ შეფერხდება შენობა-ნაგებობასთან სახანძრო ტექნიკის მისვლა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული პირობების დაცვით, შესაძლებელია მოეწყოს თქვენს ტერიტორიაზე შლაგბაუმი.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კუჭაშვილი დავითი